დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის მიზნებსა და მოცულობას, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობას, ვიდეომონიტორინგის განხორციელების შედეგად მიღებული ვიდეოჩანაწერების (შემდგომში - ვიდეოჩანაწერი) შენახვის ვადას, ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესსა და პირობებს, ასევე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს.

მუხლი 2. ტერმინების მნიშვნელობა

ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნები

უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება დასაქმებულთა, სტუდენტთა და ვიზიტორთა უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის, გამოცდის/ტესტირების და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

მუხლი 4. უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის მოცულობა

1. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მიზნებისთვის, ვიდეომონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, სასწავლო კორპუსების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობების გარე პერიმეტრზე, შესასვლელებში, ლაბორატორიებში, დერეფნებსა და საგამოცდო ცენტრებში დამონტაჟებული ვიდეოთვალთვალის სისტემის (ვიდეო სათვალთვალო კამერების) მეშვეობით.
2. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის შენობებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, კერძოდ:
ა) შენობის გარე პერიმეტრზე;
ბ) საპარკინგე ადგილებში;
გ) შენობის მიმდებარედ არსებულ სკვერებში;
დ) შენობის ყველა შესასვლელსა და გასასვლელში;
ე) შენობის ყველა სართულის დერეფანში.

3. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება აგრეთვე, უნივერსიტეტის დარბაზებში (ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ნიკოლაძის), საგამოცდო ცენტრებში და სტუდენტის სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის დაცვისას, შესაბამისად აღჭურვილ აუდიტორიებში.
4. უნივერსიტეტში, მონიტორინგის მიზნებისთვის, ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით, აუდიომონიტორინგი (ხმის ჩაწერა) არ ხორციელდება, გარდა უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი იმ აუდიტორიებისა, სადაც მიმდინარეობს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვა.

მუხლი 5. უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

1. უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგს ახორციელებს და ვიდეოთვალთვალის სისტემას მართავს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.
2. უნივერსიტეტში ვიდეოჩანაწერების შენახვაზე, წაშლაზე, ვიდეო მონიტორინგის პროცესში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების აღრიცხვაზე, ვიდეომონიტორინგის პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვაზე და აუცილებლობის შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნითა და საფუძვლით დაარქივებაზე, მათ გაცემაზე, აგრეთვე ვიდეოჩანაწერებზე მესამე პირთა დაშვებაზე, პასუხისმგებელი არიან უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსები ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად.
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის დარბაზებში, საგამოცდო ცენტრებსა და სტუდენტის სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის დაცვისას სამსახურის ტექნიკური უზრუნველყოფით განხორციელებულ ვიდეომონიტორინგის პროცესთან დაკავშირებულ მოქმედებებზე, ხოლო უნივერსიტეტის დანარჩენ სივრცეებში განხორციელებულ ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

მუხლი 6. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

1. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება იზოლირებულ და დაცულ ოთახში (შემდგომში - ვიდეოკონტროლის სივრცე), დაკეტილ მდგომარეობაში, რომელშიც შესვლისა და ყოფნის უფლება აქვს მხოლოდ პასუხისმგებელი პირების მიერ ამ წესის დანართი N 1 -ის შესაბამისად განსაზღვრულ პირებს. პასუხისმგებელი პირების მიერ შევსებული და ხელმოწერილი დანართის თითო ეგზემპლარი ინახება შესაბამის პასუხისმგებელი პირებთან.
2. ვიდეოკონტროლის სივრცეში სხვა პირის შესვლა და ყოფნა დასაშვებია მხოლოდ მისი დასუფთავების, კეთილმოწყობის ან ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
3. ვიდეოკონტროლის სივრცეში სხვა პირის შესვლის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უხილავი გახადოს პირდაპირი ჩვენების ვიდეო ნაკადი, რომელიც პირდაპირ რეჟიმში გადმოსცემს მონაცემებს/ინფორმაციას.

4. ვიდეოკონტროლის სივრცეში სხვა პირის შესვლის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია თვალი ადევნოს მის საქმიანობას.
5. ვიდეოკონტროლის სივრცეში სხვა პირის შესვლა აღირიცხება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამის ჟურნალში, ამ წესით დანართი N2-ით დადგენილი ფორმით. ვიდეოკონტროლის სივრცეში სხვა პირის შესვლის თაობაზე ნებართვას გასცემს უნივერსიტეტის რექტორი ან/და კომპეტენციის შესაბამისად, უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ან ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი.
6. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:
ა) ვიდეოკონტროლი განახორციელოს მხოლოდ ამ წესით გათვალისწინებული მიზნებისთვის;
ბ) არ განახორციელოს ვიდეოკონტროლის შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემის ფოტოგადაღება ან/და ვიდეოჩაწერა;
გ) არ განახორციელოს ვიდეოკონტროლის შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემის რაიმე ფორმით შენახვა, გავრცელება, დაბეჭდვა, ნებისმიერი მესამე პირისთვის გაგზავნა/გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, პროკურორის/გამომძიებლის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ.
7. მესამე პირისთვის ვიდეოჩანაწერის გადაცემა ხორციელდება ამ წესის დანართი N 3 -ით დადგენილი ფორმით.
8. მესამე პირისთვის ვიდეოჩანაწერის გაცნობა ხორციელდება ამ წესის დანართი N 4 -ით დადგენილი ფორმით.
9. ვიდეოკონტროლის მოწყობილობები დაკავშირებულია უნივერსიტეტის სერვერთან და ინტერნეტთან იმგვარად, რომ მისი გათიშვა ან ახალ ქსელთან დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.

მუხლი 7. ვიდეოჩანაწერზე წვდომის წესი

1. ვიდეოჩანაწერი ინახება უნივერსიტეტის სერვერზე, რომელიც განთავსებულია იზოლირებულ და დაცულ სივრცეში, დაკეტილ მდგომარეობაში.
2. ვიდეოჩანაწერზე წვდომის უფლება აქვს:
ა) უნივერსიტეტის რექტორატის წევრებს;
ბ) უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს;
გ) უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლებს;
დ) უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს;
ე) უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს;
ვ) უნივერსიტეტში დასაქმებულ იმ პირებს, რომელთა ფუნქციაა დაცვის უზრუნველყოფა და საგამოცდო პროცესის მონიტორინგი.
3. უფლებამოსილი პირების ვიდეოჩანაწერზე დაშვება ხორციელდება მხოლოდ განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და ინდივიდუალური პაროლის გამოყენებით.

4. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ვიდეოჩანაწერზე წვდომის თითოეული შემთხვევა აღრიცხოს ელექტრონულად, ყოვლისმომცველად, მათ შორის წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის მითითებით.

მუხლი 8. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა, ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა და განადგურების წესი

1. უნივერსიტეტში, ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში, ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით, უწყვეტად მიმდინარეობს სადღეღამისო (24 საათიანი) ვიდეომონიტორინგი, ხოლო საგამოცდო ცენტრში და სტუდენტის სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის დაცვისას, - შესაბამისად, გამოცდის/დაცვის პროცესის ხანგრძლივობით.
2. ვიდეომონიტორინგის მოწყობილობების რაოდენობა და მახასიათებლები განისაზღვრება ამ წესის დანართი N 5-ით.
3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების შედეგად სასწავლო მიზნებისთვის მიღებული ვიდეოჩანაწერები ინახება:
ა) სადისერტაციო/სამაგისტრო ნაშრომების დაცვების და საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდების ჩანაწერები - 180 დღის განმავლობაში;
ბ) სხვა ადგილებში განხორციელებული ვიდეომონიტორინგის ჩანაწერები - 21 დღის განმავლობაში.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე, ვიდეოჩანაწერი იშლება ავტომატურად, აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, თუ არ არსებობს მისი დაარქივების (შემდგომი შენახვის) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზანი და საფუძველი.

მუხლი 9. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, მონაცემთა სუბიექტის (უნივერსიტეტის პერსონალი დასაქმებული, სტუდენტები, ვიზიტორი ან/და სხვა ფიზიკური პირი) კანონით გათვალისწინებული უფლებები დაცულია.
2. მონაცემთა სუბიექტს, უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, მისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, უფლება აქვს შეუზღუდავად გამოიყენოს უფლების დაცვის როგორც უნივერსიტეტში არსებული, ამ მუხლით გათვალისწინებული მექანიზმები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სხვა საშუალება.
3. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, შეუზღუდავად მიმართოს (მათ შორის ანონიმურად) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას მისი უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ და მოითხოვოს სათანადო რეაგირება. მონაცემთა სუბიექტს ასევე,

შეუძლია, მისი უფლებების დასაცავად, დაუბრკოლებლად მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

4. ვიდეომონიტორინგის თაობაზე უნივერსიტეტის იმ თანამშრომელთა წერილობითი ფორმით გაფრთხილება, რომელთა სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგიც ხორციელდება, სავალდებულოა.

5. უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირების, სტუდენტების, უნივერსიტეტის ვიზიტორების და ვიდეომონიტორინგის არეალში მოქცეული სხვა პირების ინფორმირება უნივერსიტეტში ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ, ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული გამაფრთხილებელი ნიშნებით ხორციელდება.

მუხლი 10. დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეო მონიტორინგი

1. უნივერსიტეტში სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესში, აგრეთვე, გამოცდის/ტესტირების მიზნებისთვის ხორციელდება პერსონალის სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგი.

3. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ყველა დასაქმებული პირი, რომლის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი ხორციელდება, წერილობით გააფრთხილოს თანდართული ფორმის შესაბამისად ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის (მიზნების) შესახებ, რასაც დასაქმებული ადასტურებს ხელმოწერით (დანართი №6, დანართი №7).

მუხლი 11. გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეო მონიტორინგის აკრძალვა

1. უნივერსიტეტში აკრძალულია ვიდეომონიტორინგის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში, რომელიც იდენტიფიცირებადია შესაბამისი წარწერით.

2. უნივერსიტეტში აკრძალულია ვიდეომონიტორინგის განხორციელება ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.

მუხლი 12. ვიდეომონიტორინგის თაობაზე გაფრთხილება

1. უნივერსიტეტში თითოეული ვიდეოკამერის მიმდებარედ თვალსაჩინოდ განთავსებულია ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი, რომლის წარწერის ზომა, ფერი და განთავსების ადგილი ქმნის მის მარტივად და აშკარად აღქმის შესაძლებლობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად მიიჩნევა.

3. 2024 წლის 1 მარტიდან განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი სავალდებულოა შეიცავდეს მარტივად აღქმად წარწერას და გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის (ხანგრძლივობის მითითებით) თაობაზე, უნივერსიტეტის სახელწოდებას, საკონტაქტო ინფორმაციას.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

ამ წესის დარღვევისთვის პირს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 14. ძალაში შესვლა

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი ძალაში შედის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცების მომენტიდან.

დანართი N1

ვიდეოკონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი/პასუხისმგებელი პირები

1. **დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები:**

N	სახელი, გვარი	თანამდებობის დასახელება

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლები:**

N	სახელი, გვარი	თანამდებობის დასახელება

დანართი N2

ვიდეომონიტორინგის სივრცეში სხვა პირის შესვლის აღრიცხვის ჟურნალი

N	სახელი, გვარი	შესვლის მიზანი	თარიღი	ნებართვის გამცემის ხელმოწერა	ხელმოწერა შესვლის დროს	ხელმოწერა გამოსვლის დროს

დანართი N 3

მესამე პირისთვის (დაინტერესებული პირი) ვიდეოჩანაწერის გადაცემის ჟურნალი

N	თანამშრომლის სახელი, გვარი	დაინტერესებული პირის სახელი, გვარი	თარიღი	გადაცემის საფუძველი (გთხოვთ ასევე მიუთითეთ საფუძვლის თარიღი და ნომერი)	თანამშრომლის ხელმოწერა	დაინტერესებული პირის ხელმოწერა	გადაცემული ჩანაწერის მახასიათებლები (პერიოდი, ხანგრძლივობა, ჩანაწერის ლოკაცია)

დანართი N 4

მესამე პირის (დაინტერესებული პირი) მიერ ვიდეოჩანაწერის გაცნობის ჟურნალი

N	თანამშრომლის სახელი, გვარი	დაინტერესებული პირის სახელი, გვარი	თარიღი	საფუძველი (გთხოვთ მოკლედ აღწერეთ)	თანამშრომლის ხელმოწერა	დაინტერესებული პირის ხელმოწერა	ჩანაწერის მახასიათებლები (პერიოდი, ხანგრძლივობა, ჩანაწერის ლოკაცია)

დანართი N 5

ვიდეომონიტორინგის მოწყობილობების რაოდენობა და მახასიათებლები

N	მოწყობილობის დასახელება	რაოდენობა	დამონტაჟების თარიღი	მოწყობილობის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი (2024 წლის 01 მარტამდე შეძენის შემთხვევაში)	მოწყობილობის მდებარეობა (მისამართი, სართული, ოთახის ნომერი)	მოწყობილობის მიმდებარედ არსებულ გამაფრთხილებელ ნიშანზე დატანილი ინფორმაცია (წარწერა,უნივერსიტეტის სახელწოდებას და საკონტაქტო მონაცემები)
		სულ:				

დანართი №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში დასაქმებულის ინფორმირებული თანხმობა სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე

მე, ... (სახელი, გვარი, პ/ნ:) თანხმობას ვაცხადებ, რომ საკუთრების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ჩემი სამუშაო პროცესის დროს, განხორციელდეს ვიდეომონიტორინგი.

ასევე, ინფორმირებული ვარ, რომ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე მაქვს თანხმობის გამოხმობის უფლება იმ ფორმით, რა ფორმითაც განვაცხადე ის.

ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი №7

უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი კომისიის/სამუშაო ჯგუფის წევრის ინფორმირებული თანხმობა სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე

მე, ... (სახელი, გვარი, პ/ნ:) თანხმობას ვაცხადებ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მაგისტრატურის/დოქტორანტურის დებულებიდან (რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ) გამომდინარე, ოქმის შედგენის მიზნით, სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესში, განხორციელდეს უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომის ვიდეომონიტორინგი (ხმის ჩაწერით).

ასევე, ინფორმირებული ვარ, რომ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე მაქვს თანხმობის გამოხმობის უფლება იმ ფორმით, რა ფორმითაც განვაცხადე ის.

ხელმოწერა:

თარიღი: